

## შურია აფრიდონიძე

რთული ზედგენილობის მიპოოთოვონიათა მართლწერისათვის

უკანასკნელ ხანებში საქართველოში საგრძნობლად გამოცოცხლდა მუშაობა ონომასტიკაში და, განსაკუთრებით, ტოპონიმიკაში. ამას გარკვეული ბიძგი მისცა ჩვენს რესპუბლიკაში ონომასტიკური კვლევის ცენტრის — ტოპონიმიკის ლაბორატორიის დაარსებამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბოლო წლებში ზედიზედ გამოვიდა რამდენმე მონოგრაფიული ნაშრომი საქართველოს ამა თუ იმ ეთნიკურ-დიალექტური რეგიონის ტოპონიმის შესახებ ვრცელი ტოპონიმიკური სიებითურთ. გამოსაქვეყნებლად მზადაა ან მზადდება დიდადალი მიკროტოპონიმიური მასალა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იქნა მოპოვებული სპეციალური მივლინება-ექსპედიციების დროს.

ლექსიკოგრაფიული მუშაობის პროცესი აქტუალურს ხდის, მასალის თეორიულ გაზრდებასთან ერთად, წმინდა პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადაჭრას. ამ სახის ამოცანათა შორის ივარაუდება რთული შედგენილობის ანუ ერთზე მეტი ფუძისაგან შედგენილ ტოპონიმთა მართლწერა.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ორთოგრაფიულ საკითხებს შორის რთული შედგენილობის სახელთა მართლწერა ახლო წარსულში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოსახულესრიგებელ საკითხად ითვლებოდა. ამას განსაზღვრავდა საკითხის როგორც თეორიულ-მეცნიერული ღირებულება, ისე, უწინარეს ყოვლისა, მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. სულ ადმდენიმე ათეული წელი გვაშორებს იმ პერიოდს, როცა ჭერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი როგორ გვეწერა: რკინიგზა, რკინი გზა თუ რკინიგზა, ანდა: ქინძისთავი, ქინძის თავი თუ ქინძის-თავი.

ამჟამად ეს და ამგვარი საკითხები უკვე მოგვარებულია. მოგვარებულადვე შეიძლება ჩაითვალოს მსაზღვრელ-საზღვრულის სტრუქტურის მქონე იმ ტოპონიმთა საკითხიც, რომელთა მსაზღვრელური პრეპოზიციური კომპონენტი მორფოლოგიურად გაცვეთილია (ე. ი. ძლია ბრუნვის ნიშანი ან მისი ნაწილი), ან საერთოდ გაქვავებულია. ეს შეეხება — ატრიბუტული მსაზღვრელის შემთხვევაში — სახელობით ბრუნვას, მარ-

თული მსაზღვრელის შემთხვევაში — მხოლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვას, ხოლო მრავლობითში — ემფატიკურ ა ნაწილაკს.

მაგალითად:

ა) წითელწყარო, ახალსოფელი, დიდგორი (პტრიბუტულ მსაზღვრელს აქლია სახელობითის ნიშანი. შდრ. წითელი წყარო, ახალი სოფელი, დიდი გორი);

ბ) ვაკიფგარი (მართულ მსაზღვრელს აქლია ნათესაობითის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი. შდრ. ვაკიფგარი), ხუცუბანი (მართულ მსაზღვრელს მთლიანად ჩამოყველილი აქვს ნათესაობითის ნიშანი. შდრ. ხუცისუბანი);

გ) ბზიკურთკარი, წყაროთუბანი (ნათესაობითის ფორმას -ნ/-თ-იან მრავლობითში აქლია ემფატიკური ა ხმოვანი).

დადგენილია, რომ ყველა ამგვარ შემთხვევაში, როცა პრეპოზიციური მსაზღვრელი ფაქტიურად გაქვავებულია, კომპონენტები ერთად იწერება, მაშასადამე, ტოპონიმები დაუშლელია.

საერთოდ ამგვარ და სხვა სახის რთული შედგენილობის ტოპონიმთა დაწერილობის პრინციპები ჩამოყალიბებულია ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში (იხ. 1968 წლის გამოცემა). იქვე წარმოდგენილია ამ პრინციპების მიხედვით გამართული ტოპონიმთა სია, რომელიც მოიცავს როგორც მთელი მსოფლიოს, ასევე, კერძოდ, საქართველოს უმნიშვნელოვანესი ჰიდრო- და ოროგრაფიული ობიექტებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებებს, ე. წ. ოკონიმებს).

ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით, ერთად იწერება აგრეთვე გართული მსაზღვრელისა (სრული ფორმით წარმოდგენილი, მაგრამ ფაქტობრივ გაქვავებულის) და საზღვრულის შემცველი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა ცხენისწყალი, ვარდისუბანი და სხვ., ასევე, საზღვრულოთან შეზრდილი მსაზღვრელები: შუა, ქვემო და მისთ. მაგალითად: უუაფხო, შუამთა, ქვემოხევი და ა. შ.

დაფისით იწერება ის სახელები, რომელთა მნიშვნელობაც უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. მაგ., ქართლ-კახეთი, ფშავ-ხევსურეთი, რევო-შეულეთი და მისთ.

ორ ნაწილად, ცალ-ცალკე იწერება ის ტოპონიმები, რომელთა პრეპოზიციური კომპონენტები შემდეგი პტრიბუტული მსაზღვრელებია: დიდი, პატარა, ახალი, ქვემო, ქვედა, ზემო, ზედა, შუა, გაღმა, გამოღმა, მარცხენა, მარჯვენა, პირველი, მეორე და ა. შ. მაგ., ზემო აბაშა, ზედა ბახვი, პატარა თონეთი და მისთ. ჩვეულებრივ, ეს მსაზღვრელები ქმნიან ანტონიმურ წყვილებს.

დიდი ჰიდრო- და ოროგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი სახელები, რომლებშიც საზღვრულად ამ ობიექტების აღმნიშვნელი საზოგადი ქართული სიტყვის კულტურის საკითხები

დო სახელები გამოდის, ასევე დაშლით იწერება: კავკასიის ქედი, ფასის მთა და ა. შ.

ტოპონიმთა მართლწერის იგივე პრინციპებია გატარებული ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც. მაშასადამე, ეს პრინციპები არც შემთხვევათია და არც, აქედან გამომდინარე, დღემოკლე. ქართულ ენაზე არსებულ ამ წყაროებზე უფრო სოლიდური და ავტორიტეტული, ამასთან, თანამედროვე გამოცემები დღემდე — არც ჩვენში და არც სხვაგან — არ არსებობს.

ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ, როგორც ორთოგრაფიული ლექსიკონი, ისე ქართული საბჭოთა ენციკლოპედია მაკროტოპონიმიურ მასალას ითვალისწინებს. მაკროტოპონიმია კი გაცილებით სტაბილურია და ვარიირების მინიმალურ საშუალებას და იძლევა.

რაც შეეხება მიკროტოპონიმიას, ბევრი ერთეული ჭერ კიდევ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული საკუთარ სახელად — ქმნაღობის გზაზეა. სემანტიკურად „გამჭვირვალე“ კი სწორედ მიკროტოპონიმიაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მიკროტოპონიმია ჭერ კიდევ აპელატივების ანუ საზოგადო სახელების სამოქმედო ასპარეზია, განსხვავებით მაკროტოპონიმთა უმრავლესობისაგან. ამიტომ მოულოდნერი არ უნდა იყოს, რომ მიკროტოპონიმთა არამდგრადი ხსიათი მათივე მართლწერის წესებზე გარკვეულ გავლენას ახდენდეს, კერძოდ, ხელს უშლიდეს მათი კომპონენტების ლექსიკალიზაციას და, აქედან გამომდინარე, ერთ სიტყვად გაერთიანებას.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული გავლენისათვის გაზიადებული მნიშვნელობის მინიჭება გუმბართლებელი იქნებოდა: არ არის საკმაო საფუძველი იმისათვის, რომ ხელოვნურად გავმიჯნოთ გეოგრაფიული სახელწოდებები მხოლოდ იმ მოტივით, რომ ერთნი დიდ ობიექტებს აღნიშნავნ, მეორენი კი — მცირეს. ამ ფაქტისადმი დიფერენცირებული მიდგომა უფრო აღსანიშნისათვის ანგარიშგაწევის გამოხატულება იქნებოდა, ვიღრე აღმნიშვნელისათვის. გამოდის, რომ ამ შემთხვევაში ლანგვისტური ფაქტორის ნაცვლად ექსტრალინგვისტური ფაქტორის უპირატესობა უნდა გველიარებინა. ეს კი გავვიყვანდა მოცემული ენის გრამატიკული სტრუქტურის ფარგლებიდან, რაც მოგვისპობდა გეოგრაფიულ სახელთა მართლწერის ნორმალიზაციის ყოველგვარ საშუალებას.

ერთ-ერთი უნივერსალური წესი ყოველი სახის რთული შედგენილობის ტოპონიმთათვის, — როგორც მაკრო-, ისე მიკროტოპონიმთათვის — ზემოთ უკვე იყო აღნიშნული: მორფოლოგიურად გაცვეთილი პრეპოზიციური მსახლეობრივის შემცველი ტოპონიმი დაუშლელად უნდა დაიწეროს (ახალსოფელი, ხუცუბანი, ვაკიჯვარი, ბზიკურთკარი).

იგივე წესი ვრცელდება მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიის შემ-

თხვევაშიც, როცა პრეპოზიციური საზღვრული მორფოლოგიურად ასევე გაცვეთილია: აკლია სახელობითის ნიშანი. მაგ., გორმალალი, სვეტმალალი, ველკეთილი, წყალწმინდა და ა. შ.

ამ წესს გამონაკლისი არა აქვს და იგი პრაქტიკულადაც არ იძლევა: არც ერთ თანამედროვე ქართულენოვან ტოპონიმიურ სიაში!

სამაგიეროდ, დიდი სიჭრელე შეიმჩნევა მორფოლოგიურად გაუცვეთელი მსაზღვრელის შემცველი სინტაგმის დაწერილობაში, ე. ი. როცა ატრიბუტული მსაზღვრელი სახელობითის ფორმითა წარმოდგენილი, ხოლო მატრული — ნათესაობითის სრული ფორმით<sup>2</sup>. ამ სიჭრელის საილუსტრაციოდ დავისახელებთ ტოპონიმთა მაგალითებს რამდენიმე თანამედროვე მეცნიერის ნაშრომიდან:

იური სიხარულიძე („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა“, წიგნი I, ბათუმი, 1958):

გამომერე, გამომაყნა, გალმა კახეთი; ქვედანაომვარი, ქვედამაყვალეთი, ქვედათხილარი, ქვედა თხილვანა.

პავლე ხუბუტია („თუშური კილო“, თბილისი, 1969):

ალის გორი, ბაბოს გორი, ბუცესგორი, მოსისჩუვი, კიწლურთ რუვი, ბილეთ წყარო, საგინთწყარო, ღილოთ ლელე, თოთიერ ვაკეა.

ალექსი ჭინჭარაული („ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“, თბილისი, 1969):

ავისგორი, ახუნის გორი, ხოდის გორი, წვრილთ-გორი, ასავალთ გორი, ციხე-გორი, შეუგორი, სხალთ-გორი, შილდის თავი, ბლოს თავი, არხოტის-თავი, მათურის-თავი, სასოვერთ თავი, ქობთ თავი, სასვერთ თავი, ლულის ძირი, ბუქალოს ძირი, გულარის-ძირი, ქვემო-ქედი, ლაშარ-ლელე, ჩაბანო-ხაიშო.

<sup>1</sup> სამასიოდ სპეციალურად გადაისინვა უკანასკნელი ოთხი ათეული წლის ქართული ტოპონიმიური გმილცემები თუ სხვა ხასიათის (ძირითადად ისტორიულ) ნაშრომებს დართული გეოგრაფიულ სახელთა სიები (იხ. ფ. მაკალათის, ვ. ითონიშვილის, გ. ბელოშვილის, პ. ხუბუტიას, ალ. ჭინჭარაულის, ქ. ძოწენიძის, მ. ჩიქოვანის და სხვათა ნაშრომები). არ იძლევა ეს წესი არც საქართველოს სსრ აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში (იხ. 1966 და 1977 წლების გამოცემები), რომელიც სიზუსტისა და თანამდებობრულობის თვალსაზრისით საერთოდ ხშირად სცოდას.

<sup>2</sup> მათი მართლწერის საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დგას ასომთავრულების მეონე ენებში. ავილოთ თუნდაც რესული. როგორ უნდა დაწეროს, მაგალითად, ლევ ტოლსტიოს შობლიური სოფლის სახელი: იასნა პოლია, იასნა პოლია, იასნა-პოლია, იასნა-პოლია თუ იასნაპოლია? როგორც ვხედავთ, ხუთი შესაძლო ვარიანტია (ქართულში მხოლოდ სამი ვარიანტი გვეწებოდა).

ამავე სკითხს უშუალოდ თუ შეცვლითად უკავშირდება ტოპონიმთა ნაწილობრივ თარგმნის სკითხიც. მაგ., ტოპონიმებში ნიუ-თორები და ახალი თრლეანი ამოსავალ ინგლისურ ენში ერთი და იგივე მსაზღვრელი New („ახალი“) გვაქვს. ერთ შემთხვევაში იგი უცხლელად გაღმოდის, მეორეში კი ითარგმნება.

**ვალერიან ითონიშვილი („ხევის ტოპონიმიკა“, თბილისი, 1971):**

წყაროსთავი, ორობისთავი, სოფლის თავი, ართხმოს თავი, გავისთავი, ღორღაის თავი, ვეძათავი, წყაროსძირი, სოფლის ძირი, გზისძირი, ნიშის ძირი, კლდის ძირი, წყაროს ჩუვი, ვეძისჩუვი, ციხეთ უკენამ, წვეროუკენამ.

**ქეთევან ძოშენიძე („ზემოიმერული ლექსიკონი“, თბილისი, 1974):**

ჭვრისტყე, ჭალის ტყე, ვაკეტყე, ბრუა ტყე, უნაგრა ტყე, ტყე-ნაურმალა, ნიგვზის თა, ჭალისთ, რუხმეთის თა (სამივეგან მეორე კომპონენტია ზ თანხმოვანდაკარგული აპელატივი მთა), ტბა-მთა, გორა-ყანა, ჭალა-ყანა, დედოფლის წყალი, ღარისჭყალი, ხევის სერი, ყვირილისპირი, ქვეით ვენახი, ზეითყანა, ზეთჭალა, მალლავაკე, ზედავენაზი, დაბლაყანა, დაბლა ვენახი, დაბლა გარემო.

**გურამ ბედოშვილი („ერწო-თიანეთის ტოპონიმია“, თბილისი, 1980):**

არხისპირები, აქებისპირი, არხისძირი, ზაქარიასჭვერი, თოლენჯის თავი, ბაწლის-თავი, ლიშმის თავი; ბალებისხევი, ბაფხისხევი, დაოვის ხევი, კარატინის ხევი, დათვის წყარო, მელის წყარო, მელსჭყარო, დედოფლისწყარო, ტყემლების წყარო; ვეძეტყე, პატარატყე, დამწვართტყე; გულაათ ახო, თანგანთკარი, დამწვართსოფელი, დავენანთხევი, საყდარაგორი, საყდარა ხევი.

როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე ავტორის ნაშრომში ერთი და იგივე კომპონენტი ერთსა და იმავე მოდელში სხვადასხვაგვარი ორთოგრაფიითაა წარმოდგენილი. ამგვარი სიჭრელის ამსახველ ნიმუშთა გამრავლება კვლავაც შეიძლებოდა, რადგან, ჯერ ერთი, საამისო მასალა დასახელებული ავტორების ნაშრომებით არ ამოიწურება, მეორეც, თვით სიჭრელის ფაქტი შემთხვევითი არ უნდა იყოს.

საქმე ისაა, რომ ველზე მუშაობის დროს მიკროტოპონიმიური მასალის მოპოვებისას ჩამწერს გარკვეული პროფესიული აღლო უკარნახებს, — ანდა ამას თვით ინფორმაციი მიანიშნებს, — რომ ყველა ჩაწერილი ერთეული არ არის ერთნაირი ტოპონიმიური ღირებულებისა. კერძოდ, ინფორმაცის (თუკი მას მეხსიერება არ ღალატოს), არ გამოიჩინება ისეთი ტოპონიმი, რომლის საზოგადო მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთი ტოპონიმი, რომლით აღნიშნულ-მითითებული ობიექტი ფუნქციურად დაცლილია მის სახელწოდებაში ჩადებული შინაარსისაგან (მაგ., ჩეინისჭვარი, ცხრაწყარო, ბალისხიდი... არც ერთ ამ შემთხვევაში სინამდვილე არ შეიფერება სახელწოდებას და პირუკუ).

საერთოდ, რაც უფრო ბუნდოვანია სემანტიკურად ერთეული (იგულისხმება სინქრონიული დონე), ანუ, რაც უფრო „ასემანტურია“ იგი, მით უფრო მაღალია მისი ტოპონიმიურობის ხარისხი.

იგივე შეიძლება ითქვას ტოპონიმის აპელატიური მნიშვნელობისა და ობიექტის ფუნქციის შესაბამისობის შესახებ: რაც უფრო შესაბამოა აღმნიშვნელის (ტოპონიმის) საზოგადო მნიშვნელობა აღსანიშნის (გეოგ-

რაფიული ობიექტის) ჩეალურ ფუნქციასთან, მით უფრო ძლიერია სახელის ტოპონიმიური ძალა.

ამ უკანასკნელი დებულების საილუსტრაციოდ უფრო თვალსაჩინო მასალას წარმოგვიდგენს მაკროტოპონიმია, განსაკუთრებით, დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი — ე. წ. ოკონიმები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი ჰიდროგრაფიული (წყლების) ან ოროგრაფიული ობიექტების (მთების) აღნიშვნელი საზოგადო სახელებია. მაგალითად, საქართველოს სოფლების სახელები: ვანისჭედი, წითელგორა, მსხალგორი, შუახევი, ხევისჭალა, წითელწყარო, წყალწმინდა...

მსგავსი მასალა, ცხადია, მიკროტოპონიმიაშიც დაიძებნება, მაგრამ აღსანიშნავ და აღმნიშვნელს შორის ზემოხსენებულ შესუსაბამობათა რიცხვი აქ საგრძნობლად კლებულობს: მრავალი სახელი კონტექსტუალური ორიენტირის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთებია, განსაკუთრებით, ბატონინიმული ტოპონიმები და, საერთოდ, ყველა ის ტოპონიმი, რომლის შექმნაშიც მონაწილეობს ნათესაობით ბრუნვაში დასმული ანთროპონიმი ანუ ადამიანის სახელი, გვარი, მეტსახელი, შტოგვარი... მაგ., ილიას ნამოსახლი, არქიფოს წყარო, პლატონის გარემო და მისთ.

ანალოგიური ტოპონიმების პირველი კომპონენტი, მეტადრე თუ იგი ადამიანის საკუთარი სახელია, შეიძლება შეიცვალოს კიდეც (ვთქვათ, მიწის, წყაროს და ა. შ. მექმეცილრეობით გადაცემის საფუძველზე). ამიტომ ასეთი ერთეულები მხოლოდ ნახევარტოპონიმებად ანუ, როგორც მათ უწოდებენ, „ტოპონიმ-ეფემერებად“ აღიქმება<sup>3</sup>. ამგვარ ერთეულთა ტოპონიმიზაცია თვით პირველი კომპონენტის სემანტიკურ გაფართოებასთან (და, რიგ შემთხვევებში — გაუცხოებასთან) იქნება დაკავშირებული: ვთქვათ, თუ ადამიანის სახელის ნაცვლად გვარი (ან შტოგვარი) მონაწილეობს შესიტყვებაში და, განსაკუთრებით კი — ეთნონიმი. მაგ., მესხის დობილო, ოსის ნასახლარი და მისთ. შტრ. თბილისის მიკროტოპონიმიდან — თათრის მაიდანი.

ასეთ შემთხვევებში გენიტიური მსაზღვრელი, რომლის აღსანიშნავ

<sup>3</sup> ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს შემდეგი ფაქტი ველზე მუშაობის ბრაქტიკიდან (ს. ფუთი, 1974 წ.): ინფორმანტმა, რომელსაც ვთხოვთ, წევეულებისამეტრ, დეტალურად აღნიშნავ, თვისის სოფლის ტოპონიმია, საკუთხი ინიციატივით ჩვეულში ჩამოწერა უ. წ. „სოულები“ (ამ სათაურით გაერთიანა მან ბატონინიმები!). სინამდვილეში კი ლექსემა „სოული“ ასემანტურია: იგი ნათესაობითის ნიშანზე დართული -აულ სუფიქსის ასიმილირებულ გარიანტს წარმოადგენს. ამიტომ, ცხადია, ავგვარი ტოპონიმები დაუშლელად უნდა დაიწეროს. მაგ., ვანხოული, მესხოსოული და ა. შ. შტრ. ინფორმანტის მიერ ჩაწერილი ვარიანტები: ვანოს სოული, მესხის სოული და მისთ. ანთროპონიმისა და აფიქსის ამგვარი გათმვა წერა-კითხვის მცირენი ინფორმანტის იძლევად მის უწიგნერობას კი არ აღასტურებს, რამდენადაც მის პოზიციას — მსგავსი სახელები არ შიიჩინოს ჭეშმარიტ ტოპონიმებად.

უკვე ისტორიის კუთვნილებაა, უფრო სტაბილურად მქვიდრდება ადგილის სახელში და მის ტოპონიმზეციას ემსახურება. ოუკი ამა თუ იმ მფლობელის (აღმშენებლის და სხვ.) სახელი მონაწილეობს ადგილის სახელში და ეს მფლობელი ცოცხალია, ფუნქციონირების ამ ეტაპზე ერთეული ტოპონიმად ვერ ჩაითვლება, ან, უკეთ, პირობითად ჩაითვლება ტოპონიმად.

მაგრამ, ასეა თუ ისე, ამგვარი ერთეულების მართლწერის წესების შემუშავებისას ყოველთვის ვერ მოხერხდება (და აკი ვერ ხერხდება კიდეც) ზუსტი რეალიების დადგენა<sup>4</sup> და ამის კვალობაზე მასალის დიფერენცირება ორთოგრაფიული თვალსაზრისით. ამიტომ საჭირო ხდება რომელიმე ერთი გზის არჩევა, ერთი პრინციპის მომარჯვება.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამის ერთადერთი, უპრეცედენტო ცდა არსებობს. იგი ითვალისწინებს ყოველგვარი რთული შედეგენილობის მქონე ტოპონიმთა დაუშლელად წერის პრინციპს<sup>5</sup>. სათანადო არგუმენტები ასეთია:

1. ტოპონიმი, სხვა საკუთარ სახელთა მსგავსად, დაცლილია თავისი უტიმოლოგიური, ტოპონიმამდელი მნიშვნელობისაგან., მისი ტოპონიმიკური მნიშვნელობა აღსანიშნ იბიექტზე მითითებაა.

2. თუ ორ- და მეტსიტყვიან ტოპონიმებს ცალ-ცალკე დაწერთ, მაშინ მართლწერის ეს კანონი უნდა გაერცელდეს ადამიანთა საკუთარ სახელებსა და გვარებზე (დედის იმედი, სახლო ხუცის შვილი, ცალ ქალაბანი დე), რაც სავსებით გაუმართლებელია.

3. ტოპონიმის ერთ სიტყვად წერას გამართლება აქვს ტოპონიმის კონტექსტიდან გამორჩევის მიზნითაც (მაგ., „საქონელი წავიყვანე წყაროთა მზვარის პირმზითში“, ან: „დაგელოდები უძილაურთ წისქილის ჭალაში“ — ძნელი გასაგებია, რომელია აქ ტოპონიმი. შედრ. „საქონელი წავიყვანე წყაროთამზვარისპირმზითში“, „დაგელოდები უძილაურთწისქილისჭალაში“)<sup>6</sup>.

არგუმენტები საყურადღებოა და ანგარიშებისაწევი, მით უმეტეს, რომ რთულ შედგენილობის ტოპონიმთა მართლწერის ცალსახად და ერთგვარად მოწესრიგებას ისახავს მიზნად. ისიც უნდა ითვეს, რომ ეს არგუმენტაცია მხოლოდ სიადვილისათვის კი არაა მოხმობილი, არამედ გარკვეული ტოპონიმიგური პოზიციის ამსახველია. ესეც არ იყოს, პრინციპის ერთია-

<sup>4</sup> მეტადრე საქართველოში, სადაც გარკვეული ტრადიცია მოსდგამს წინაპრის სახელის ხშირ გამოიყებას მომდევნო თაობათა წარმომადგენლებს შორის.

<sup>5</sup> იხ. ფ. მაკალათია, არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმიკა, კრებული „ტოპონიმიკა“, I, 1976, გვ. 68.

<sup>6</sup> იქვე.

ნობა პრაქტიკულად მოსახერხებელიცაა: მან ტოპონიმთა სიას თუ ლექსიკონს სასურველად მწყობრი და თანმიმდევრული სახე უნდა მისცეს. ამას ემატება ტოპონიმთა საერთო ტენდენცია შეკუმშვისაკენ, კომპაქტურობისაკენ.

და მაინც, მოცემული სახის ტოპონიმთა დაუშლელად წერა ყველა შემთხვევაში გამართლებული არ ჩანს: მას გარკვეული გრამატიკული და სემანტიკური ხასიათის დაბრკოლებები ეღობება:

ჭერ ერთი, გადაულიავ სიძნელეს ქმნის თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც სათანადო კონტექსტში საზღვრულთან ერთად იბრუნვის. მაგ., სახელობითშია თეთრი წყარო, მაგრამ შდრ. „თეთრ წყაროში მივდივარ“. გამოდის, რომ ამგვარ ტოპონიმებს ერთი შინაგანი ფორმა არა აქვს, მაშასადამე, გრამატიკულად დაშლადია, ხოლო, რაფი დაშლადია, ამის კომპენსაცია ერთ აღსანიშნ იბიექტზე მითითებით (რაც ტოპონიმის ძირითად სემანტიკურ ფუნქციას წარმოადგენს) ვერ მოხერხდება. გრამატიკული და სემანტიკური ფაქტორები აქ ჰარმონიას ვერ ქმნიან — ეთიშებიან ერთმანეთს (იგივე პრობლემა დგას ზემოხსენებულ ქაჩა პოლია-ს შემთხვევაშიც, სადაც სინტაგმის ორივე კომპონენტი იბრუნვის).

თქმული ეხება ყველა თანხმოვანფუძიან ატრიბუტულ მსაზღვრელს, მათ შორის, ისეთ პროდუქტიულ ზედსართავებს, როგორიცაა: ახალი, ძველი, მრგვალი, გრძელი, პირველი, წითელი, თეთრი და მისთ.).

მეორე: ტოპონიმთა კომპონენტების ერთად წერის სასაჩვენებლოდ რთული შედეგებილობის ანთროპონიმების, განსაკუთრებით, გვარების ანალოგია არ გამოდგება, რადგან ერთი აღსანიშნი — ერთი ადამიანი — ამჟამად მხოლოდ გვარით ან მხოლოდ სახელით კი არ აღინიშნება, არამედ სამელებენტოვანი (ყოველ შემთხვევაში, არანაკლებ ორელებენტოვნისა) სისტემით: სახელი, მამის სახელი, გვარი. ამას ემატება საზოგადო სახელები ძე ან ასული, და ყოველ მათგანი ცალ-ცალკე იწერება და არა ერთად! მეორეცაა და, თვით კომპოზიტური ფორმის გვარი ასეთად სწორედ იმიტომ იქცა, რომ იგი ფიქსირებული, სოციალური გახდა, თაობიდან თაობაზე გარდაიმავალი და თაობათა გამაერთიანებელი. სწორედ ამ ფაქტორის გამო უნდა მომხდარიყო ანთროპონიმის ფონეტიკურ-მორფოლოგიური ცვეთა.

უნდა აღინიშნოს, რომ ძე და შვილ-ით ნაწარმოებ გვარებში ეს პროცესი ფონეტიკურად გარდუგალი იყო: შერწყმულ სიტყვაში სიბილანტებმა (სძ, სშ) ერთად ვერ გაძლო, მაგრამ დაშლად ერთეულში — მამის სახელში, სადაც ძე/ასულ-ის ვარიირების საშუალება გვაქვს, იგივე ს (ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული) იმავე პოზიციაში არ იყარგვის (შდრ.

მამის სახელი გიორგის ძე და ისტორიულად მისგან წარმომდგარი გვარი გომიჩიძე).

რაც შეეხება საზოგადო სახელებისა და ტოპონიმების აღრევის საფრთხეს კონტექსტში ხმარებისას, მათს ურთიერთობას, ჩვეულებრივ, თვით კონტექსტი აწესრიგებს (თუ საამისოდ ენამ სიტყვაწარმოება არ გამოიყენა). ესეც არ იყოს, ომოფორმული კონტექსტები მეტად მცირეა იმისათვის, რომ მათში მონაწილე ტოპონიმები ორთოგრაფიულად დიფერენცირებული გავხადოთ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგჯერ ერთსა და იმავე ტოპონიმს აღსანიშნი ობიექტიც კი ეცვლება. ეს ის შემთხვევაა, როცა ტოპონიმში მონაწილეობენ მსაზღვრელები: გაღმა, გამოდმა, მარჯვენა, მარცხენა, წინა, უკანა... მაგ., რომელიმე გაღმა უბანი წყლის ან გორის გამოღმა მცხოვრების პოზიციას ასახავს, გაღმელისათვის კი იგივე ტოპონიმი სხვა ობიექტის აღმნიშვნელ-მიმთითებელი სახელი იქნება (გავიხსენოთ ამ მოვლენის შებრუნვებული ვარიანტი: ერთი და იმავე ობიექტის აღმნიშვნელი ტოპონიმები ამიერკავკასია და ვაკავკაზე, სადაც ამიერ და ვა (= „იმიერ“) ანტონიმური ფუნქციის წინდებულებია).

ამას გარდა, არ უნდა უგულებელვყოთ მიკროტოპონიმიური მასალის აღწერის სპეციფიკა: აღინუსხება ყოველი ობიექტი — დიდი თუ მცირე, ბუნებრივი თუ ხელოვნური, რასაც კი თავისი სახელი ჰქვია და ამ სახელით სხვას უპირისპირდება. გასაგებია, რომ ყველა სახელი ერთი რიგისა არ იქნება: ზოგი ტრადიციულია, ზოგიც ახლა იქმნება — საზოგადო და საკუთარი სახელების მიჯნაზე, მაგრამ აღწერისას მაინც აღინუსხება, ვინაიდან მათი სოციალური სანქციაც და ფუნქციაც უკვე აშკარა ჩანს. მართალია, ასეთ ერთეულებს ინტორმანტი მიჯნას მის მიერვე ჭეშმარიტად მიჩნეულ ტოპონიმთაგან, მაგრამ მეცნიერებისათვის მათი მნიშვნელობა განუზომელია: ისინი თვალსაჩინოს ხდიან ტოპონიმიზაციის პროცესს.

ამგვარი ერთეულების შემქმნელი ბირთვია ანთროპონიმები და ხელოვნური ობიექტების (ეკლესია, წისქვილი, სასაფლა... ) აღმნიშვნელი საზოგადო სახელები. ასეთი მიკროტოპონიმები ხშირად დაშლადია — სინქრონულადც და დიაქრონიულადც: ღროთა განმავლობაში ერთი სახელი შეიძლება მეორემ შეცვალოს (მაგ., ოჯახის წევრთა გარდაცვალების, თაობათა ცვლის კვალობაზე), ანდა იმავდროულად პარალელური ვარიანტებიც ჰქონდეს სხვა ანთროპონიმების მონაწილეობით.

საკუთარი სახელის ამგვარი ავტონომიურობის გამო მიკროტოპონიმთა სიისა თუ ლექსიკონის შედგენისას მიზანშეწონილია საკუთარი სახელი (ანთროპონიმი, ტოპონიმი, ეთნონიმი) ნებისმიერ პოზიციაში, თუკი პრეპოზიციური სიტყვა მორფოლოგიურად გაუცვეთელია, იზოლირებუ-

ლი იყოს შეხამებული სიტყვისაგან (მაგ., ვაკე კახრიული, ვაკე კაპანაძე-ები, მესხის მინდორი, ფხალაძის ნამოსახლი...).

ნაკლები ავტონომიურობით და შერწყმისადმი მეტი მიღრეკილებით გამოირჩევა საზოგადო სახელები — აპელატივები, რომლებიც ტოპონი-მებთან დამთხვევის, ომიფორმულობას თავს აღწევენ ერთგვარი „გაუ-ცხოვებით“ — აფიქსების დართვით ან — უპირატესად — სხვა ფუძესთან შერწყმით. ეს აპელატივებია, უწინარეს ყოვლისა, დასახლებული პუნქტების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები: ქალაჭი, ხოფელი, დაბა, უბანი... გავიხსენოთ, რომ ამჟამად საქართველოს თიკონიმიაში არ დასტურდება არცერთი ახალი ქალაჭი, ახალი ხოფელი, ახალი დაბა, ახალი უბანი, არამედ: ახალქალაჭი, ახალსოფელი, ახალდაბა, ახალუბანი. მათ მრავალი დუბლეტი მოეპოვებათ:

ამავე გზითაა წარმოქმნილი ტოპონიმები: ზენობანი, ქვენობანი, შუბანი და ა. შ., რომელთა კომპონენტების მიჯნაზე ხდებოდა ა და უ ხმოვნების თავმოყრა, რაც მათი შერწყმით დასრულდა. მაგრამ იგივე ფაქტორი აღარ მოქმედდებს, როცა მომდევნო საზღვრული იმავე ხმოვნით დაწყებული ტოპონიმია (მაგ., ზედა ურთხნალი).

შერწყმისადმი დიდი მიღრეკილებით გამოირჩევა აგრეთვე საზოგადო სახელი წყალი, რომელიც ტოპონიმთან შეხამებისას ჰიდრონიმის მარტინოვებელი -ურა სუფიქსის როლს ასრულებს (შდრ.: ჩარგალი — ჩარგლურა და ხანი — ხანისწყალი).

ასეთსავე ტენდენციას ავლენენ სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი ის სახელები, რომლებიც ტოპონიმებში მეტაფორული გააზრების შედეგად ობიექტის გარკვეულ ნაწილზე მიუთითებენ, საორიენტაციო ფუნქციას ასრულებენ. ეს სახელებია: თავი, ძირი, პირი, გვერდი და მისთ. ისინი დამოუკიდებელ ტოპონიმებად არ იხმარებიან და ამიტომ მათი იზოლაცია ნათესაობითში მართული მსაზღვრელისაგან გაუმართლებელია (მაგ., რუსთავი, რუსპირი, რუსბოლო, წყლისპირი, ციხისძირი და მისთ.).

უნდა აღინიშნოს ერთი ფონეტიკურ-ინტონაციური თავისებურებაც: ერთმარცვლიანი საზოგადო სახელები ენკლიტიკის ან პროკლიტიკის ძალით ერწყმიან წინამავალ ან მომდევნო სიტყვებს. ამდენად, მიზანშეწონილია ამ ტენდენციის გრაფიკული გაფორმებაც. მაგ., ვაკემთა, ვაკეტუ, ქალატუ, მთაწმინდა და ა. შ.

ამგვარად, ქართული ორთოგრაფიული ტრადიციებისა და მიკროტოპონიმთა ზოგადი ტენდენციების გათვალისწინებით მიზანშეწონილია შემდეგი წესების დაცვა:

<sup>7</sup> ეს პრინციპი გატარდა საქართველოს თიკონიმთა ინვერსიული ლექსიკონის შედეგნისას. იხ. შ. ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ქართული თიკონიმები, კრებ. „ტოპონიმიკა“, II, 1980.

1. დეფისით გამოიყოს ერთმანეთთან თანწყობით შეერთებული ტოპონიმები (სფიანა-როსტიანა, საალანიო-საფაჩულიო...);

2. ცალ-ცალკე დაიწეროს:

ა) მორფოლოგიურად გაუცვეთელი თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი და მისი საზღვრული (თეთრი წყლები, მრგვალი მინდორი...);

ბ) საკუთარი სახელის (ტოპონიმის, ანთროპონიმის...) შემცველი ტოპონიმები (ლაშის იგორეთი, კიცხის იგორეთი. შდრ. ტოპონიმები: ლაში, კიცხი; დიდი ატენი — პატარა ატენი, ჩხეიძეების გარემო, ზედა ჭუშბურიძეები...);

გ) აღსანიშნი ობიექტის შესაბამისი საზოგადო სახელების შემცველი ტოპონიმები (ძმათა სახაფლაო, ეკლესიის გარემო...);

3. ყველა დანარჩენ შემთხვევაში რთული შედგენილობის ტოპონიმები, დაუშლელად, შერწყმულად დაიწეროს.

\* ამისთან დაკავშირებით სანტერესო, რომ სეიართველოს სსრ გეოგრაფიულ სახელთა რუსულად გაღმოცემის ინსტრუქციაში (1971 წლის გამოცემა) ერთნაირად — დეფისითა გათაშულ როგორც თანწყობით დაკავშირებული სახელები (მაგ., საალანიო-საფაჩული), ასევე ქვეწყობით დაკავშირებული სახელები, ატრიბუტული მსაზღვრელი და საზღვრული (მაგ., მერქე-სვირი, დიდი-ატენი). აღრიცხულე — 1957 წლის გამოცემაში კი დეფისითვე იწერებოდა მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის შემცველი სინტაგმებიც (მაგ., სანის-წყალი). ცხადია, რომ პრინციპი ერთგვარი და თანმიმდევრული არ არის.